

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

სხდომის ოქმი #7

ქ.თბილისი

13 იანვარი, 2016 წელი

სხდომას ესწრება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ 2015 წლის 17 ივნისს არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ედიშერ მაჩაიძე
2. გივი გოგოძე
3. მანუჩარ დვალი
4. ლუდვიგ დაღანიძე
5. ვასილ ბაკაშვილი
6. ვასილ ლიპარტელიანი
7. დავით ლობჯანიძე
8. გიორგი თხელიძე
9. ნესტან ეგეტაშვილი
10. არსენ ბურჯალიანი
11. მურად გარუჩავა
12. ირაკლი ჩაგანავა
13. სოფიკო ჩიტაური
14. შაქრო აბრამიშვილი
15. ელისო კვანტალიანი

დღის წესრიგი:

1. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების დებულების დამტკიცება;
2. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო ნუსხის განხილვა.
3. სხვადასხვა

სხდომა გახსნა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ. მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის

სხდომა გახსნა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ. მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსს ბატონ ვასილ ბაკაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვაში არსებულ დებულებაში ცვლილების შეტანის საჭიროება გაჩნდა. მან გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების ახალი დებულება (იხ. დანართი #).

ამის შემდეგ, სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს მიმართა, კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისათვის (სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების დებულების დამტკიცება).

სხდომის 15 წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება.

სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს გააცნო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო ნუსხა (დაწვრილებით იხილეთ დანართი #1) და მიმართა, კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხისათვის (უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო ნუსხის განხილვა და დამტკიცება).

სხდომის 15 წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება.

საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების დებულება;
2. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო ნუსხა.

სხდომის ოქმი აწარმოა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანმა ნესტან ეგეტაშვილმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

თავმჯდომარე - სპიკერი



/ედიშერ მაჩაიძე/

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის მდივანი



/ნესტან ეგეტაშვილი/